

# შპს „გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი“

დამტკიცებულია

რექტორის მიერ

ბრძანება № 01-01/27 27 მაისი 2010 წ.

შეტანილი ცვლილებები:

1. რექტორის 2010 წლის 2 დეკემბრის ბრძანება №01-01/68
2. რექტორის 2011 წლის 8 თებერვლის ბრძანება №01-01/07

საგანმანათლებლო პროგრამის შედგენის წესი  
(დიზაინი)

თბილისი

## საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესის ძირითადი ნაბიჯები

1. საბაკალავრო პროგრამის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობები) დასახელება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის № 210 ბრძანებით დამტკიცებულ უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალს - კლასიფიკატორს.
2. საბაკალავრო პროგრამის კოორდინატორის და/ან ხელმძღვანელების აკადემიური ხარისხი, კვალიფიკაცია, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების გამოცდილება უნდა შეესაბამებოდეს საბაკალავრო პროგრამის შინაარსსა და მიზნებს. კოორდინატორი ხელმძღვანელებთან ერთად უზრუნველყოფს ზოგადი კომპეტენციების ზღვრებში საბაკალავრო პროგრამის შინაარსობრივ და სტრუქტურულ მიზანშეწონილობას, ხოლო ხელმძღვანელები ძირითადი და დამხმარე სპეციალობების შინაარსობრივ მიზანშეწონილობას დარგობრივი კომპეტენციების ზღვრებში.
3. **საგანმანათლებლო პროგრამის ამოქმედების პირობები**
  - 3.1. საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავდება უნივერსიტეტის შესაბამის პროგრამულ მიმართულებაზე/კათედრაზე;
  - 3.2. საგანმანათლებლო პროგრამის ამოქმედების ძირითადი ნაბიჯებია:
    - პროგრამული მიმართულების/კათედრის ეფექტიანი აკადემიური და კვლევითი საქმიანობა;
    - შრომის ბაზრის მოთხოვნა ან სოციალური დაკვეთა პროგრამის ამოქმედების (რეგიონალურ/ეროვნულ/ევროპულ დონეზე) პერსპექტიულობასა და აუცილებლობაზე. პროგრამის საჭიროების განსაზღვრა დაინტერესებულ მხარეებთან (დამსაქმებლები, პროფესიონალები და პროფესიული ორგანიზაციები) კონსულტაციების საფუძველზე;
    - აკადემიური თვალსაზრისით პროგრამის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისობა;
    - პროგრამისათვის აუცილებელი რესურსების (ადამიანური და მატერიალური) ხელმისაწვდომობა.
4. **საგანმანათლებლო პროგრამის ზოგადი დახასიათება**
  - 4.1. ზოგადი ინფორმაცია საბაკალავრო პროგრამის შესახებ
    - 4.1.1. სწავლების ფორმა;
    - 4.1.2. სწავლების ენა;
    - 4.1.3. საგანმანათლებლო პროგრამის ანალოგები<sup>1</sup>.
  - 4.2. საბაკალავრო პროგრამის მოთხოვნები:
    - 4.2.1. საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა;
    - 4.2.2. საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობა, სასწავლო კვირების, საათების, საკონტაქტო საათების, კრედიტების რაოდენობა;

<sup>1</sup> მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამის ანალოგებად წარმოდგენილი იყოს ამერიკული, ევროპული და ქართული მოწინავე უნივერსიტეტების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები. შესაბამისი უნივერსიტეტების წუსხას სპეციალობების მიხედვით შეიმუშავებს ფაკულტეტი და ამტკიცებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

4.2.3. საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად) და დიპლომის დანართის სახე.

## 5. საგანმანათლებლო პროგრამის პროფილი

5.1. საბაკალავრო პროგრამის მიზანი და ამოცანები (სტრატეგიული და ტაქტიკური გეგმა);

5.2. საბაკალავრო პროგრამის პროფილი:

5.2.1. საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც კრედიტები ნაწილდება სპეციალობის საბაზისო განათლების საგნებზე, ძირითად და დამატებით სპეციალობებზე. ამასთან, დამატებითი სპეციალობა შეიძლება აძლიერებდეს ძირითადი სპეციალობის პროფილს და/ან გამოყენებული იქნას თავისუფალი კომპეტენციების კონცენტრაციისათვის;

5.2.2. საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც კრედიტები ნაწილდება ძირითად და დამატებით სპეციალობებზე. ამასთან, დამატებითი სპეციალობა შეიძლება აძლიერებდეს ძირითადი სპეციალობის პროფილს და/ან გამოყენებული იქნას თავისუფალი კომპეტენციების კონცენტრაციისათვის.

## 6. ბაკალავრის საკვალიფიკაციო დახასიათება (სწავლის შედეგები)

6.1. ბაკალავრის საკვალიფიკაციო დახასიათება უნდა დაეფუძნოს დუბლინის დესკრიპტორებს<sup>2</sup> და მათ შესაბამისად მოხდეს ცოდნის ზოგადი, დარგობრივი და ტრანსფერული უნარების კლასიფიკაცია. საკვალიფიკაციო მოთხოვნები უნდა შეესაბამებოდეს კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს შესაბამის ზოგად და დარგობრივ მოთხოვნებს ან პროფესიული ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ შესაბამის დოკუმენტებს (მათი არსებობის შემთხვევაში). გათვალისწინებული უნდა იქნას: ა) დარგის სწავლებისა და კვლევის ტრადიცია საქართველოს უნივერსიტეტში; ბ) მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება (მათი სასწავლო და კვლევითი პროგრამები); გ) ბოლონის პროცესის მოთხოვნები; გ) თუნიუნგის პროექტის მასალები. აღნიშნულის საფუძველზე მკაფიოდ განისაზღვროს:

6.1.1. ბაკალავრის ორიენტაციის სფერო (გააჩნია, ერკვევა, გაიაზრებს);

6.1.2. რა უნდა იცოდეს ბაკალავრმა და რას უნდა აცნობიერებდეს იგი;

6.1.3. რომელ უნარ-ჩვევებს უნდა ფლობდეს იგი;

6.1.4. რომელი კომპეტენციების პრაქტიკული განხორციელება შეეძლება ბაკალავრს;

6.1.5. ბაკალავრის ძირითადი და დამატებითი სპეციალობებით განსაზღვრული კომპეტენციები, აღწერილი დუბლინის დესკრიპტორებით, მოიცემა ცალკე ბლოკებად.

6.2. ბაკალავრის პროფესიული საქმიანობის სფერო და ობიექტი:

6.2.1. სწავლების პროცესში მიღებული თეორიული ცოდნის, კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისათვის გამოიმუშავებული უნარ-ჩვევების გათვალისწინებით დეტალური ინფორმაცია ბაკალავრის

<sup>2</sup> ცოდნა და გაცნობიერება; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; არგუმენტირებული დასკვნის უნარი; კომუნიკაციის უნარი; სწავლის უნარი.

პროფესიული საქმიანობის სფეროს, საქმიანობის და დასაქმების ობიექტების აღწერა შესაძლო<sup>3</sup> თანამდებობების ჭრილიდან;

6.2.2. მიეთითოს რომელი პროფილის სამაგისტრო პროგრამებზე არის რეკომენდებული სწავლის გაგრძელება.

## 7. საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი


7.1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა ორიენტირებული უნდა იყოს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე და ამლევდეს შესაძლებლობას სტუდენტს საბაზისო დისციპლინების შესწავლის შემდეგ აირჩიოს სასურველი ძირითადი და დამატებითი სპეციალობები. გამონაკლისს წარმოადგენს რეგულირებადი სპეციალობები, რომლებიც გამორიცხავენ კომბინირებას დამატებით სპეციალობებთან. საგანმანათლებლო პროგრამის “ 240 კრედიტს (30 კრედიტი სემესტრში, 60 კრედიტი წელწადში) უნდა ანაწილებდეს მოდულებად, რომლებიც ორიენტირებული იქნებიან შესაბამისი კომპეტენციების ფორმირებაზე. 3.5-ში განსაზღვრული პროფილის მიხედვით პროგრამების ზოგადი სტრუქტურა მოცემულია ნახ.1 და ნახ.2-ზე

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურული სქემის მოდულების დახასიათება


7.1.1. ძირითადი სპეციალობის მოდული - არა ნაკლებ 120 კრედიტის ოდენობით მოიცავს:

- ზოგადსა განმანათლებლო (საუნივერსიტეტო) დისციპლინებს (სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები). დისციპლინათა დაუფლების უმთავრესი მიზანია თანამედროვე საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ძირითადი მიმართულებებისა და კონცეფციების გაცნობა, წარმოდგენის შექმნა აღნიშნულ მეცნიერებათა სხვადასხვა სფეროში უახლეს მიღწევათა შესახებ, ზოგადი უნარების დაუფლება და ერუდიციის გაფართოება;
- ძირითადი სპეციალობის საბაზისო დისციპლინებს (სავალდებულო და სასწავლო კურსები). დისციპლინათა შესწავლა მიზნად ისახავს შესაბამის მეცნიერებათა ფუძემდებლური პრინციპების, ძირითადი თეორიებისა და კონცეფციების გაცნობას; აღნიშნულ სფეროში სისტემური ცოდნის დაუფლებას; საქმიანობისათვის აუცილებელი ინტერდისციპლინური მიდგომის, თეორიული ანლიზისა და ემპირიული მონაცემების დამუშავების, მოვლენათა კომპლექსური ხედვისა და პროცესების ობიექტური შეფასების უნარ-ჩვევათა ფორმირება-განმტკიცებას. საბაზისო (ზოგადი) ცოდნის ფორმირებას პროფესიის მიხედვით;

<sup>3</sup> სახელმწიფო სამსახურში ეს უნდა ემთხვეოდეს კანონს "საჯარო სამსახურის შესახებ" მოთხოვნებს, ხოლო კერძო სექტორში დამქირავებლებთან კონსულტაციების შედეგად ჩამოყალიბებულ აზრს.



ნახ.1



ნახ.2

7.1.2. ძირითადი სპეციალობის კონცენტრაციები - განკუთვნილია 60 კრედიტის მოცულობით ერთ-ერთი დარგობრივი დისციპლინების (სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები) ასარჩევად, სადაც 30 კრედიტი ეთმობა პრაქტიკასა და საბაკალავრო ნაშრომს. კონცენტრაციებიდან ერთ-ერთის არჩევა განაპირობებს გარკვეული დარგის კომპეტენციებს - ძირითად სპეციალობას. არჩეული მოდულის დისციპლინათა შესწავლის მიზანია დასაუფლებელი სპეციალობის გარშემო ცოდნის შეძენა-გაფართოება, მის საზღვრებში რომელიმე კონკრეტული სფეროს საფუძვლიანი გაცნობა და პროფესიული კარიერის განვითარებისათვის საჭირო უნარ-ჩვევათა ფორმირება-განმტკიცება.

7.1.3. დამატებითი სპეციალობის მოდული - განკუთვნილია 60 კრედიტის მოცულობით დამატებითი სპეციალობის დისციპლინების (სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები) ასარჩევად. ამასთან, დამატებითი სპეციალობა შეიძლება მიმართული იქნას:

- ძირითადი სპეციალობის გასაღრმავებლად;
- უშუალოდ დამატებითი სპეციალობის შესაძენად - რომელმაც უნდა გააფართოვოს მომავალი ბაკალავრის პროფესიული საქმიანობის სფერო. აღნიშნული მოდულის დისციპლინათა შესწავლის მიზანია დამატებით სპეციალობაში ზოგადი და სიტემური კომპეტენციების ფორმირება;
- თავისუფალი კომპეტენციების კონცენტრაციის მოდული - განკუთვნილია თავისუფალი კომპეტენციების შესაძენად, რომელსაც სტუდენტი შეგნებულად ირჩევს დამატებითი სპეციალობის არჩევითი

დისციპლინების ნაცვლად (მაგალითად მაგისტრატურაში სპეციალობის შეცვლის მიზნით).

- 7.1.4. **პროფესიული პრაქტიკა.** თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გადასატანად საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს პროფესიულ პრაქტიკას. სტუდენტები პრაქტიკას გაივლიან სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომლებიც მოქმედებენ საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. პროფესიული პრაქტიკის მოცულობაა 10 კრედიტი და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ ორგანიზაციებში, რომლებთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ან ოფიციალურად ადასტურებს კონკრეტული ბაკალავრისთვის პრაქტიკის გავლისათვის მზადყოფნას.
- 7.1.5. **საკვალიფიკაციო ატესტაცია.** საბაკალავრო პროგრამა შესაძლებელია დასრულდეს საბაკალავრო ნაშრომით და/ან საკვალიფიკაციო გამოცდით, რომლის შედეგების მიხედვით სტუდენტს ენიჭება შესაბამისი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია. საბაკალავრო ნაშრომისათვის განკუთვნილია 20 კრედიტი საიდანაც, ნაშრომის დაცვაზე განკუთვნილია 5 კრედიტი. მეშვიდე სემესტრის ბოლოს ბაკალავრი ირჩევს საბაკალავრო ნაშრომის თემას და ხელმძღვანელს. მერვე სემესტრი ეთმობა ნაშრომის ირგვლივ მასალების გაცნობა-მოპოვებას, რომელსაც იგი ახორციელებს პრაქტიკის ობიექტზე. ხელმძღვანელთან ერთად შემუშავებული გეგმის მიხედვით იგი ამუშავებს სათანადო ლიტერატურას, გეგმით გათვალისწინებულ საკითხებს და სემესტრის ბოლოს იცავს საბაკალავრო ნაშრომს.
- 7.2. ყოველი მოდული ეფუძნება გარკვეულ საგანმანათლებლო საქმიანობას და განისაზღვრება კურსის ტიპით (ლექცია; სემინარი; სავარჯიშო; პრაქტიკული თუ ლაბორატორიული სამუშაო; ინდივიდუალური სწავლა ხელმძღვანელის მეთვალყურეობით; კონსულტაცია; დამოუკიდებელი მეცადინეობა; პროფესიული პრაქტიკა და ა.შ.), სასწავლო საქმიანობის ტიპით (ლექციებზე დასწრება; სპეციალური დავალებების შესრულება; ტექნიკური უნარ-ჩვევების გამომუშავება; ესეების, რეფერატების, საკურსო ნაშრომის წერა; წიგნებისა და სტატიების კითხვა; სხვისი ნაშრომების კონსტრუქციული კრიტიკის სწავლა; შეხვედრების გაძღოლა; და ა.შ.) და შეფასების ტიპით (ზეპირი და/ან წერილი გამოცდა; პრეზენტაცია; ტესტი; სამეცნიერო მოხსენება; სამეცნიერო ნაშრომის დაცვა; უწყვეტი შეფასება და ა.შ.).
- 7.3. სწავლების მეთოდი. ბაკალავრიატში სწავლის მიზნებისა და ამოცანათა განხორციელებას უზრუნველყოფს თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობათა ციკლი.
- 7.4. თეორიულ მეცადინეობათა დანიშნულებაა - სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ძირითად თემათა თეორიულ ჭრილში განხილვა და სტუდენტის უზრუნველყოფა შესასწავლი დისციპლინის მეთოდოლოგიური საფუძვლების შესახებ ინფორმაციით, აგრეთვე დასაუფლებელი დისციპლინის ცნებობრივი აპარატით
- 7.5. პრაქტიკულ მეცადინეობათა დანიშნულებაა - სტუდენტის მიერ შეძენილი თეორიული ცოდნის გაღრმავება-განმტკიცება; შესასწავლი საკითხის

არსისა და მნიშვნელობის სათანადო გააზრება, პრაქტიკაში მისი გამოყენების შესაძლებლობათა გამოკვეთა; საგნობრივ სფეროში გადაწყვეტილებათა მომზადება-მიღების პროცესზე ზემოქმედი ფაქტორების ანალიზისა და ობიექტურად შეფასების, აგრეთვე პრაქტიკული საქმიანობისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევათა გამომუშავება.

- 7.6. სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სწავლების აქტიური მეთოდებით სარგებლობას. პრაქტიკულ მეცადინეობაზე სტუდენტის მიერ შეძენილი ცოდნის განმტკიცებასა და პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევათა გამომუშავებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს კონკრეტული სიტუაციის ანალიზის მეთოდის გამოყენება, დისკუსია-სემინარებისა და საქმიანი თამაშების ჩატარება, პრაქტიკული სავარჯიშოებისა და საპრეზენტაციო პროექტების მომზადება, აგრეთვე საკონსულტაციო და დამოუკიდებელი მუშაობა.
- 7.7. საგანმანათლებლო პროცესის ყველა კომპონენტი - სასწავლო, საკონტროლო ღონისძიებები; პრაქტიკის ხანგრძლივობა; არდადაგები და სადღესასწაულო დასვენებები - ასახული უნდა იქნეს საბაკალავრო პროგრამის აკადემიურ კალენდარში. სასწავლო ღონისძიებები მოიცავს თეორიული სწავლების მთელ პერიოდს, აგრეთვე, სტუდენტის კვლევით საქმიანობას, პრაქტიკუმებს, საკურსო სამუშაოების შესრულებასა და პროფესიულ პრაქტიკას. სტუდენტს საორიენტაციოდ უნდა მიეთითოს ძირითადი სპეციალობის არჩევის თარიღი.

## **8. საბაკალავრო პროგრამის კომპეტენციური მოდელი**

- 8.1. კომპეტენციები უნდა გადაიქცნენ ახალი თაობის საგანმანათლებლო პროგრამების "ბირთვად", რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ორიენტაცია სტუდენტზე-“სწავლების შედეგებზე”.  
თავის მხრივ სწავლების შედეგები – ეს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მოსალოდნელი და გაზომვადი კონკრეტული მიღწევებია, გამოხატული კომპეტენციების ენაზე და რომლებიც აღწერენ თუ რისი გაკეთება შეეძლება სტუდენტს/კურსდამთავრებულს საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილის ან მთლიანად დამთავრების შემდეგ. იგივე მოკლედ შეიძლება შემდეგნაირად იქნეს ფორმულირებული „სწავლის შედეგების აღწერა კომპეტენციების ენაზე“ ან როგორც სწავლების “კომპეტენციური მოდელი”.
- 8.2. კომპეტენციების განსაზღვრისა და ანალიზის პროცესში აუცილებლად უნდა იქნენ ჩართული დამქირავებლები, კურსდამთავრებულები და უმაღლესი სასწავლებლის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები.
- 8.3. კომპეტენციური მიდგომა გამოყენებული უნდა იქნას, როგორც კვალიფიკაციების ასევე ცალკეული მოდულის (კურსის, ბლოკის, დისციპლინის) დონეზე.
- 8.4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი დისციპლინების “არჩევის” დასაბუთება უნდა განხორციელდეს ე.წ. კომპეტენციური ცხრილით, რომელსაც შემდეგი სახე აქვს:



კომპეტენციები მოდულების მიხედვით		საგნების დასახელება					
		საგანი 1	საგანი 2	საგანი 3	. . . .	საგანი n-1	საგანი n
კომპეტენციების დასახელება	კომპეტენცია 1						
	კომპეტენცია 2						
	კომპეტენცია 3						
	•						
	•						
	•						
	კომპეტენცია n-1						
	კომპეტენცია n						

8.5. ზემოთ მოყვანილი დისციპლინები ცალსახად განსაზღვრავენ იმ კომპეტენციებს, რომელთაც უნდა განსაზღვრონ სწავლის შედეგები. თითოეულმა დისციპლინამ შეიძლება „გადაფაროს“ 5-8 კომპეტენცია ანუ ადგილი არ უნდა ქონდეს სხვადასხვა დისციპლინის მიერ იდენტური დარგობრივი კომპეტენციების შექმნის შესაძლებლობას.

8.6. “კომპეტენციური მოდელის” დამუშავების დროს აუცილებლად უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში რეკომენდაციები რვა საკვანძო კომპეტენციასთან მიმართებით, რომელსაც უნდა ფლობდეს ნებისმიერი თანამედროვე ბაკალავრი:

- კომპეტენცია მშობლიური ენის სფეროში;
- კომპეტენცია უცხოური ენების სფეროში;
- კომპეტენცია მათემატიკის, საბუნებისმეტყველო და ტექნოლოგიების სფეროში;
- კომპიუტერული კომპეტენცია;
- სასწავლო კომპეტენცია;
- პირვნებათშორისი, სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციები;
- სამეწარმეო კომპეტენცია;
- კულტურული კომპეტენცია.

8.7. კომპეტენციების ინტეგრირებულ კლასიფიკაციად შეიძლება ჩაითვალოს მათი დაყოფა ორ ჯგუფად:

8.7.1. ზოგადი კომპეტენციები, როგორც ბაზა მომავალი სამოქმედო არეალის შეცვლისა, როგორც ინსტრუმენტი შრომითი მოწყობის სპექტრის გაფართოებისა. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღევანდელი პირობებში, როდესაც თანამედროვე შრომის ბაზარი ხასიათდება სწრაფი ცვალებადობით, ინფორმაციის ზრდადი უკმარობით (გაურკვევლობით) და ცვალებადი მოთხოვნილებებით. პირველ რიგში ზოგადი კომპეტენციების დანიშნულებაა მისცეს ბაკალავრს სწრაფი ადაპტაციის შესაძლებლობა ძირითადი სპეციალობის ცვლილებისას;

8.7.2. დარგობრივი (საგნობრივ-სპეციალიზირებული, სპეციალური,) კომპეტენციები. მათი დანიშნულებაა მკაფიოდ განსაზღვროს ძირითადი და დამატებითი სპეციალობის საზღვრები და

მნიშვნელოვანია აკადემიური ხარისხების/კვალიფიკაციების სრული აღწერისათვის.

8.8. ზოგადი კომპეტენციები შეიძლება დაყოფილი იქნას სამ კატეგორიად:

8.8.1. ინსტრუმენტალური კომპეტენციები (პერსონალური):

- ანალიზის და სინთეზის უნარი;
- ორგანიზების და დაგეგმვის უნარი;
- ზოგადი საბაზისო ცოდნა;
- საბაზისო ცოდნა პროფესიის მიხედვით;
- კომუნიკაციის უნარები მშობლიურ ენაზე;
- ელემენტარული კომპიუტერული უნარ-ჩვევები;
- ინფორმაციის მართვის უნარები-(წყაროებიდან ინფორმაციის მოძიებისა და ანალიზის უნარ-ჩვევები);
- პრობლემების გადაწყვეტის უნარები (შესაძლებლობები);
- გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევები.

8.8.2. ინტერპერსონალური კომპეტენციები (ორგანიზაციული და კომუნიკაციური უნარები):

- კრიტიკისა და თვითკრიტიკის უნარი;
- ჯგუფში მუშაობის უნარ-ჩვევები;
- პიროვნებათშორისი უნარები;
- ინტერდისციპლინარულ ჯგუფში მუშაობის უნარ-ჩვევები;
- სხვა საგნობრივი სფეროს ექსპერტებთან თანამშრომლობის უნარ-ჩვევები;
- კულტურათა შორის განსახვავებების-მრავალსახეობის აღქმის უნარები;
- საერთაშორისო კონტექსტში მუშაობის უნარები;
- საყოველთაო ეთიკურ ღირებულებათა აღიარება.

8.8.3. სისტემური (ტრანსფერული უნარები):

- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება;
- კვლევის უნარ-ჩვევები;
- სწავლის უნარ-ჩვევები;
- ახალ სიტუაციასთან ადაპტირების უნარ-ჩვევები;
- ახალი იდეების გენერირების უნარ-ჩვევები;
- ლიდერობის უნარ-ჩვევები;
- სხვა ქვეყნების კულტურისა და ადათ-წესების გაგება;
- ავტონომიურად მუშაობის უნარ-ჩვევები;
- პროექტების დამუშავებისა და მართვის უნარ-ჩვევები;
- მიდრეკილება ინიციატივისა და სამეწარმეო საქმიანობისაკენ;
- ხარისხზე პასუხისმგებლობა;
- სწრაფვა წარმატებებისაკენ.

8.9. დარგობრივი კომპეტენციები:

- დისციპლინის საფუძვლების და ისტორიის ცოდნის დემონსტრირება;
- ათვისებული ცოდნის ლოგიკურად და თანმიმდევრულად წარმოდგენა;
- ახალი ინფორმაციის კონკრეტიზირება და მისი ახსნა-განმარტება;
- მოდულის საერთო სტრუქტურისას და ქვემოდულებს შორის კავშირების აღქმის დემონსტრირება;

- თეორიის კრიტიკული ანალიზისა და განვითარების მეთოდების გაცნობიერება და გამოყენება;
- დისციპლინის მეთოდებისა და ტექნიკის სწორად გამოყენება;
- მოცემულ საგნობრივ სფეროში კვლევის ხარისხის შეფასება;
- ექსპერიმენტული მონაცემების აღქმა/გაცნობიერება.

## 9. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები

9.1. ერთობლივ პროგრამებად ითვლება:

- 9.1.1. პროგრამები, რომლებიც შემუშავებულია ერთზე მეტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ.
- 9.1.2. პროგრამები, რომლებიც სარგებლობენ საერთო ადამიანური რესურსით. თითოეული პარტნიორი უნივერსიტეტის პროფესორები ასწავლიან მონაწილე უმაღლეს სასწავლებლებში, ერთად შეიმუშავენ სასწავლო გეგმას, ქმნიან გაერთიანებულ კომისიას სტუდენტების შეფასებისას.
- 9.1.3. პროგრამები, რომელთაც აქვთ საერთო კვლევითი კომპონენტი.

9.2. საერთაშორისო აკადემიური ხარისხის პროგრამებისათვის:

- 9.2.1. უნდა არსებობდეს შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლის ვალდებულება ოფიციალური ხელშეკრულების ან მემორანდუმის სახით;
- 9.2.2. უნდა არსებობდეს საკმარისი გარანტიები, რომ პროგრამა სამართლებრივად აღიარებული იქნება სხვადასხვა ქვეყანაში;
- 9.2.3. უნდა არსებობდეს შეთანხმება პროგრამის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, რომელიც დაგეგმილია სტუდენტის დატვირთვაზე დაფუძნებული ECTS-ის კრედიტების შესაბამისად.

## 10. დისციპლინების (სასწავლო კურსების) კოდების სისტემა

10.1. კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ECTS ევროპულ სისტემას გამჭვირვალეს და გასაგებს ხდის კრედიტების განაწილებაში კურსების (დისციპლინების) დონეებისა და ტიპების გათვალისწინება. დისციპლინების დაყოფას დონეების მიხედვით შეიძლება შემდეგი სახე ჰქონდეს:

- 10.1.1. **Basic** – საბაზისო დონის კურსი, იძლევა წარმოდგენას (შესწავლა) დისციპლინაზე მინიმალურ დონეზე;
- 10.1.2. **Intermediate** – საშუალო დონის კურსი (განკუთვნილია საბაზისო დონის გასაღრმავებლად);
- 10.1.3. **Advanced** – მაღალი დონის კურსი (განკუთვნილია პროფესიონალური ცოდნის შემდგომ გასაღრმავებლად);
- 10.1.4. **Specialized** – სპეციალური დონის კურსი (განკუთვნილია კონკრეტულ სფეროში ან კონკრეტულ დისციპლინაში ცოდნისა და გამოცდილების ფორმირებისათვის);

10.2. კურსის ტიპები შეიძლება დაყოფილი იქნას შემდეგი სახით:

- 10.2.1. **Core** – სასწავლო კურსის ბირთვი - ძირითადი კურსი;
- 10.2.2. **Related** – მომიჯნავე კურსი (დამატებითი კურსი ბირთვისათვის);
- 10.2.3. **Minor** – არამაპროფილებელი კურსი (ფაკულტეტური ან დამხმარე).

10.3. საგანმანათლებლო პროგრამა (სასწავლო გეგმა) შეიძლება შეიცავდეს სხვადასხვა მოდულებში განაწილებულ დისციპლინების სამ ჯგუფს:

- 10.3.1. **Compulsory** - დისციპლინების ჯგუფი, რომელთა შესწავლა სავალდებულოა დროში მკაცრად განსაზღვრული თანმიმდევრობით;
- 10.3.2. **Compulsory Electives** - სავალდებულო დისციპლინების ჯგუფი, რომელთა შესწავლის დრო და თანმიმდევრობა განისაზღვრება სტუდენტის მიერ;

10.3.3. **Electives** დისციპლინები, რომელთაც სტუდენტი შეისწავლის საკუთარი სურვილის მიხედვით.

- 10.4. სასწავლო გეგმის თითოეული დისციპლინისთვის განსაზღვრული უნდა იყოს იმ წინამორბედი დისციპლინების ჩამონათვალი, რომელთა ცოდნა აუცილებელია მოცემული დისციპლინის წარმატებით ასათვისებლად.
- 10.5. თითოეული დისციპლინისათვის მიზანშეწონილია, სრული (საკრედიტო), სალექციო, ლაბორატორიულ-პრაქტიკული საათებთან ერთად მიეთითოს კონსულტაციებისვის განკუთვნილი დრო.
- 10.6. დისციპლინის კოდში სიმბოლოებად გამოყენებულია დისციპლინის თვისებების ინგლისური დასახელების პირველი სიმბოლოები, ხოლო თანმიმდევრობის სქემა მოცემულია ცხრილში.

დისციპლინების ჯგუფი	დისციპლინების დონე	დისციპლინების ჯგუფი	კრედიტების რაოდენობა	კვირაში სალექციო საათების რაოდენობა	პრაქტიკული ან/და საათების რაოდენობა	საკონსულტაციო საათების რაოდენობა
C	I	C	5	3	2	2

მაგალითად, დისციპლინის ცხრილში მოცემული კოდი **C I C5-3-2-2** ითვალისწინებს სავალდებულო (**Compulsory**), საშუალო დონის (**Intermediate**) ძირითადი (**Core**) ტიპის 5 კრედიტის მქონე საგანს, რომლისთვისაც: კვირაში სალექციო საათების რაოდენობა არის 3, პრაქტიკული ან/და ლაბორატორიული საათების რაოდენობა არის 2 და ლექტორის საკონსულტაციო საათების რაოდენობა არის 2.

### 11. საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა

- 11.1. საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა გათვლილი უნდა იყოს 168 სასწავლო კვირაზე 4 წლის განმავლობაში. ყოველი სასწავლო წელი ითვალისწინებს 42 კვირიან სწავლებას. სწავლების პროცესში სტუდენტი გაივლის 5 კვირიან პროფესიულ პრაქტიკას;
- 11.2. საბაკალავრო პროგრამის საათობრივი დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში განისაზღვრება 1500-1800 საათით და ემყარება თითოეული კომპონენტის (სასწავლო, კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობა) შესრულებისათვის საჭირო დროის გაანგარიშებას;
- 11.3. სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ცალკეულ დისციპლინათა შესწავლისა და ცოდნის (კომპეტენციების) დაუფლების შედეგები იზომება პირობითი ჩათვლის ერთეულით – კრედიტით, შესაბამისად, სტუდენტის მიერ სწავლაზე გაწეული ძალისხმევა გამოისახება კრედიტებით;
- 11.4. 1 კრედიტი შეესაბამება 25-30 სთ-ს და გულისხმობს სტუდენტის მიერ პროგრამის დაუფლებას როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის გზით;

- 11.5. სტუდენტი ვალდებულია ერთი წლის განმავლობაში დააგროვოს საშუალოდ 60 კრედიტი, ამასთან საშუალოდ 30 კრედიტი ყოველ სემესტრში<sup>4</sup>.
- 11.6. საბაკალავრო პროგრამის მოდულების კრედიტების და საკონტაქტო საათების განაწილება
- 11.6.1. სასწავლო პროცესი სწავლების თანამედროვე მეთოდებზე უნდა იყოს დაფუძნებული. მათ შორის ძირითადია ინტერაქტიული ლექციები, ქეისების ანალიზი, ჯგუფური პროექტები, ინდივიდუალური და ჯგუფური პრეზენტაციები, სემინარები რეალური ფორმებისა და ორგანიზაციების მასალებზე დაყრდნობით. კრედიტების და საათების განაწილება სასწავლო დატვირთვის და მოდულების მიხედვით უნდა იყოს შემდეგი სახის:

**სააუდიტორიო (საკონტაქტო) საათების მოდულების მიხედვით განაწილების ფორმა**

რიგითი №	საბაკალავრო პროგრამის მოდულები	საკონტაქტო საათების განაწილება			საათების განაწილება დროში			
		ულო	არჩევითი	სულ	I კურსი	II კურსი	III კურსი	IV კურსი
II	ზოგადი სპეციალობის მოდული	450	450	900	■	■		
III	ძირითადი სპეციალობის მოდული	225	225	450			■	
IV	დამატებითი სპეციალობის მოდული	200	175	375				■
V	პროფესიული პრაქტიკა							■
VI	საკვალიფიკაციო ატესტაცია							■

**კრედიტების განაწილება მოდულების მიხედვით**

საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის დატვირთვა (სააუდიტორიო და დამოუკიდებელი) მოდულების მიხედვით		
სპეციალობის მოდულის დისციპლინები	1500 საათი	120 კრედიტი
ძირითადი სპეციალობის მოდულის დისციპლინები	1500 საათი	60 კრედიტი
დამატებითი სპეციალობის მოდულის დისციპლინები	1250 saaTi	50 krediti
პროფესიული პრაქტიკა	250 საათი	10 კრედიტი
სულ ბაკალავრის მომზადების დრო	6000 saaTi (*)	240 krediti
(*) ყველა მონაცემი მოცემულია ასტრონომიულ საათებში		

<sup>4</sup> გამონაკლის შემთხვევაში, სტუდენტმა შეიძლება წლის განმავლობაში დააგროვოს 75 კრედიტი (ზედა მაქსიმალური ზღვარი).





1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23
		ტურიზმი	1500	450		40																
		სავალდებულო დისციპლინები																				
		ჯამი	750	225																		
		არჩევითი დისციპლინები																				
		ჯამი	500	150																		
		დამატებითი სპეციალობა	1500	375		50																
		სავალდებულო დისციპლინები																				
		ჯამი	750	225																		
		არჩევითი დისციპლინები																				
		ჯამი	500	150		15																
		თავისუფალი კომპეტენციების კონცენტრაცია	1250	375		15																
		ჯამი																				
		პროფესიული პრაქტიკა	250			10																
		საბაკალავრო ნაშრომი	500			20																
		სავალდებულო	3250	225		130																
		არჩევითი	2750		825	110																
		სულ კრედიტი	6000	№№		№	225	30	225	30	225	30	225	30	225	30	225	30	225	30	175	30



## 12. საბაკალავრო პროგრამის სასწავლო დისციპლინათა მოკლე აღწერა

- 12.1. სასწავლო დისციპლინის დასახელება
- 12.2. სასწავლო დისციპლინის შინაარსი
- 12.3. სასწავლო დისციპლინის მიზანი
- 12.4. სწავლის შედეგი (უნდა იცოდეს-აცნობიერდეს, უნდა ფლობდეს, უნდა შეეძლოს)

## 13. მოთხოვნები საბაკალავრო პროგრამის რეალიზაციის პირობებისადმი

- 13.1. სასწავლო პროცესის საკადრო უზრუნველყოფა. საბაკალავრო პროგრამის რეალიზაცია უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრებით. სასწავლო დისციპლინებს უძღვებიან შესაბამისი პროფილის მეცნიერებათა დოქტორები – სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორები, რომელთაც აქვთ პროფესიული საქმიანობის გამოცდილება და, პედაგოგიური საქმიანობის პარალელურად, ეწევიან ინტენსიურ სამეცნიერო-კვლევით, პრაქტიკულ და მეთოდურ მუშაობას.
- 13.2. სასწავლო პროცესის სასწავლო-მეთოდური უზრუნველყოფა. საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყოველი დისციპლინის სწავლების პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი სასწავლო-მეთოდური დოკუმენტაციით: დისციპლინის სილაბუსით; სალექციო კურსებით; ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოებით, დამატებითი საინფორმაციო (ინტერნეტ) წყაროებით; სასწავლო-მეთოდური რეკომენდაციებით; სწავლების მულტიმედიური ტექნოლოგიებითა და აუდიო/ ვიდეო მასალებით.
- 13.3. სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა. საბაკალავრო პროგრამის რეალიზაციის პროცესი უზრუნველყოფილია პრაქტიკული და ლაბორატორიული მუშაობისათვის განკუთვნილი თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობებითა და უახლესი კომპიუტერული ტექნიკით.
- 13.4. ხელშეკრულებები ორგანიზაციებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტების პროფესიული პრაქტიკის გატარებას.

### შეტანილი ცვლილებები:

1. რექტორის 2010 წლის 2 დეკემბრის ბრძანება №01-01/68
2. რექტორის 2011 წლის 8 თებერვლის ბრძანება №01-01/07